ცნობის ფურცელი

№ 1963 ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1963

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372,

„ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან

სურათებიანი დამატება

გამოვა კვირაში ორჯერ

ხუთშაბათობით და კვირაობით.

ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი“ დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.

ჟურნალ „**მოამბის**“ ხელის მომწერთ „**ცნობის ფურცელი**“ გაეგზავნებათ ორივე დამატებით.

„მოამბეს“ წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარედ გაგზავნით—11 მან.

ხელის მომწერთ ვსთხოვთ გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწერონ **გვარი, სახელი, მამისსახელი და ქალაქის სახელი**, ამასთანავე გარკვევით დასწერონ რომელი გამოცემა ჰსურს, „ცნობის ფურცელი“ „მოამბე“ თუ მარტო „ცნობის ფურცელი“.

ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლევამდე.

ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება **ემილ ზოლას** უკანასკნელი რომანი **სიმართლე** „Verite“.

1903 წელს

გაზეთი „**ივერია**“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისათვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზია (იგივე ქარვასლა). **ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან. **ბათუმში:** ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში. **ბაქოში:** ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდაპირ). **თელავში:**—პართენ ნასიძესთან. **განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ), **გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

„ი ვ ე რ ი ა“

ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія“ (5—2)

წარმოდგენა 8. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს 1902 წ.

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ცნობილი პიესა

სოდომის წარღვნა

დრამა 5 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. მ. გველესიანისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, მახვილი. ბ-ნნი: ანანიაშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კაპეიკიდან 1 მ. 50 კაპეიკამდე, გალერეა 25 კაპ.-დან 45 კაპ.-მდე. შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მზადდება წარმოსადგენად „უბედურ ვარსკვლავზე“, „მუშაკი და ნებიერი“, „ძალა აღმართს ხნავს“. რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფებისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ზ. ზარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩ., სახლი სხვანს-მელიძისა, № 21. (ვეზისის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 174. (7—).

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ჭანაძისა. (წ).

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შ რ ო მ ა“

ჭყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან. მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—17)

„ბათუმის სცენის მოყვარეთა ამხანაგობა“ გ. ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით და **ქართული სიმღერების მოყვარული გუნდი** გამართავს ამ წლის განმავლობაში ბათუმის რკინის გზის თეატრის დარბაზში **ოთხ წარმოდგენას** კონცერტიულის განყოფილებით. წარმოდგენილი იქნება შემდეგი პიესები: ა) 31 ოქტომბერს—დრამა „მეორედ გაყმაწვილება“; ბ) 21 ნოემბერს დრამა „დამნაშავეა“; გ) 14 დეკემბერს დრამა „ბრჭყალები“, და დ) 21 დეკემბერს დრამა „მეირამა“. (3—3)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. წარსულ ორშაბათს ირლანდიელებმა თავიანთი გაიტანეს: პარლამენტს ირლანდიის საქმეებზე ჰქონდა ბჭობა. ირლანდიელმა დეპუტატმა ო'ბრაიენმა სთხოვა სპიკერს: ნება მომეცით წინადადება შემოვიტანო და პალატის სხდომის გადადება მოვითხოვო იმ აზრით, რომ ხალხის ყურადღება მივაქციოთ იმისთანა დიდად საჭირო საქმეს, როგორიცაა განსაკუთრებულ კანონების შემოღება ირლანდიის დედა-ქალაქში და ხსენებულ კანონების სასტიკი ასრულება მთელს ირლანდიაშიო. ო'ბრაიენის წინადადებას ყველა ირლანდიელი დეპუტატები მიემხრნენ; მიემხრო ბევრი ლიბერალიც, ამათ შორის კემპბელ-ბანერმანი და გარკორტი. ამიტომ სპიკერმაც წინადადების შემოტანის ნება მისცა ო'ბრაიენს.

საღამოს სხდომის დროს ო'ბრაიენმა შეიტანა წინადადება. ო'ბრაიენმა ირლანდიის საქმეთა მინისტრს უინდჰემს ბრალი დასდო, რომ ირლანდიის ლიგის წევრებს სისტემატიურად სდევნის და ლენდლორდების ინტერესებს იცავსო. ლენდლორდები სულ იმის ცდაში არიან, რომ ირლანდიელებს სააგრარო ბოროტ-მოქმედება ჩაადენინონ. ირლანდიის ლიგა კი იმასა ცდილობს, რომ საადგილ-მამულო საქმე მშვიდობიანად გადასწყვიტოს. ორატორმა სთქვა, ლენდ-ლორდები რომ დასთანხმდნენ და მემამულეებისა და ფერმერების კონფერენცია გამართონ, მაშინ საადგილ-მამულო საქმე მშვიდობიანად გადასწყდებოდა და სახელმწიფოს დახმარებაც აღარ იქნებოდა საჭირო. მაგრამ ლენდლორდებმა უარი სთქვეს კონფერენციაზე. მაშ რა ამბავია, რომ მთავრობა ასე მხნედ ესარჩლება ლენდლორდებს? ირლანდიაში განსაკუთრებული კანონების გამოცხადებისათვის არაფერი საბუთი არა ჰქონდათ. სააგრარო ბოროტ-მოქმედება ისე ცოტა ხდება, რომ სათქმელიც არ არის. არაფერი ბოროტ-მოქმედება არა ხდება, მაგრამ ათი ირლანდიელი დეპუტატი მაინც ციხეში ზის და თანაც სამარცხვინო ძალ-დატანებითი სამუშაო აქვთ გადაწყვეტილი. ბურები გაცილებით კაცთ-მოყვარულად ეპყრობოდნენ თავიანთ მტრებს—ტყვე ინგლისელებს, სანამ ინგლისის მთავრობა ირლანდიელ დეპუტატებს ეპყრობა. პარლამენტის წევრებს ციხეში ჰსმენ მარტო იმისათვის, რომ ტრედ-უნიონიზმს იცავენ, დუბლინში სამხედრო წესებს აცხადებენ მარტო იმ საბუთით, რომ გაზეთ „აირიშ პიპლ“-ში ერთი წერილი არ მოეწონა უინდჰემსო. დასასრულ ო'ბრაიენმა სთქვა: „მთავრობა ჰხედავს, რომ მთელის ირლანდიის ერი იმის წინააღმდეგია; ამიტომ მთავრობა ცდილობს ირლანდიის მეთაურები სამარცხვინო სასჯელებით დააშინოს. მაგრამ მთავრობა ვერას გახდება“.

ო'ბრაიენს მინისტრმა უინდჰემმა უპასუხა. მინისტრი ეცადა დაემტკიცებინა, რომ განსაკუთრებულ კანონების შემოღება ირლანდიელ აგიტატორების მოქმედებამ გამოიწვიაო. აგიტატორები ხალხს აშინებენ იმ აზრით, რომ თავიანთ მხარეს გადიბირონ. ლიგის კრებებზე ბევრი რეზოლიუცია დაადგინეს კერძო პირების წინააღმდეგო. მინისტრმა ბევრი ამნაირი რეზოლიუცია მოახსენა პალატას. უინდჰემმა დაუმატა: „მთავრობას ზავი სწყურიან, მაგრამ მანამ ლიგა თავის ტაქტიკაზე ხელს არ აიღებს, მთავრობაც იარაღს არ დაჰყრისო“.

როცა ირლანდიის მინისტრმა ლაპარაკი გაათავა, ოპოზიციის ლიდერი კემპბელ-ბანერმანი წამოდგა. კემპბელ-ბანერმანმა სთქვა: „უინდემის განმარტება ვერაფერი განმარტება იყო. როცა განსაკუთრებულ კანონებს აცხადებენ, მთავრობა მოვალეა დაამტკიცოს, პირველად ისა, რომ იმ მხარეში ბოროტ-მოქმედება გაძლიერდა, და მეორე ისა, რომ მთავრობა ეცადა ჩვეულებრივის კანონით მოესპო ეს ბოროტ-მოქმედება, მაგრამ ჩვეულებრივი კანონი საკმაო არ იყო. მთავრობას არც ერთი დაუმტკიცებია, არც მეორე. თუ უნდათ ირლანდიაში უკმაყოფილება მოისპოს, ჯერ უსათუოდ უკმაყოფილების მიზეზი უნდა მოსპონ.“

ამის შემდეგ პალატამ კენჭის ყრა მოახდინა და ო'ბრაიენის წინადადება 215 ხმის უმეტესობით 121-ის წინააღმდეგ უარ-ჰყო. ირლანდიელებს 75 ლიბერალიც მიმხრობია.

შეერთებული შტატები. უცხოეთის გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ განთქმულ ფოლადის სინდიკატის „მეფეებს“ მორგანსა და შვაბს უზარმაზარი საქმე განუზრახავთო: ფოლადის მსოფლიო სინდიკატის დაარსებას აპირებენო. მორგანის და შვაბის აზრით, ახალი სინდიკატი შეერთებულ შტატების, ინგლისისა და გერმანიის ფოლადის მრეწველობას შეაერთებს და წინად რომ ატლანტიკის ოკეანეს გემთა ტრესტი დააარსეს, იმასთან ერთად იმოქმედებსო. გემთა ტრესტის თავმჯდომარეს უთქვამს, მორგანმა თავისი აზრი გერმანიის იმპერატორს შეატყობინა და იმპერატორსაც მოეწონა ეს აზრიო. ამერიკელი კაპიტალისტები ამბობენ, ამერიკასა და ევროპას ეხლაც ძლიერ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა და ძლიერ დიდი საერთო ინტერესები აქვთო. შუშისა და თამბაქოს მრეწველობაში ამერიკელი და ევროპიელი ფირმები ეხლაც ერთმანერთის თანხმობით მოქმედებენ. ელექტრონის მრეწველობაზედაც ესევე ითქმის. ამ ჟამად მორგანისავე თაოსნობით მოლაპარაკებაა გამართული იმის თაობაზე, რომ ელექტრონის მრეწველობის გამოჩენილი ფირმები ევროპასა და ამერიკაში შეაერთონ და ერთი სინდიკატი დააწესონ. ელექტრონის მრეწველობის ერთი დიდი ბერლინერი ფირმა და ნიუ-იორკის უმთავრესი ელექტრონული ფირმა მჭიდროდ დაუახლოვდნენ ერთმანერთს. დასასრულ ამე-

რიკელები ამბობენ: რკინისა და ფოლადის მრეწველობაში ეხლა საერთაშორისო შეთანხმება არსებობს. ინგლისისა, გერმანიისა და ბელგიის დიდრონ ფირმების წარმომადგენლებმა ბრიუსელში კრება მოახდინეს და ამერიკელ ფირმებისაგან შეკვეთილი საქმეები ერთმანერთში გაინაწილეს. ეს კრება უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ხსენებული შეთანხმება ეხლავე არსებობს. გერმანული გაზეთები ჯერ ეჭვის თვალით უცქერიან ამერიკელების განზრახვას: ჯერ ძნელია მაგნაირ ფოლადის სინდიკატის დაარსებაო, რადგანაც ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტებს არა აქვთ საერთო კომერციული ინტერესებიო.

საფრანგეთი. საერო განათლების მინისტრმა კერძო სკოლების წესების შესახებ კანონ-პროექტი წარუდგინა სენატს. პროექტის თანახმად, ნება დაურთველ კონგრეგაციების წევრთ უფლება არ ექმნებათ კერძო სკოლები დააწესონ, ან მასწავლებლობა იკისრონ ამ სკოლებში. მეორე ახალი პროექტით კერძო სკოლების მასწავლებლებს იგივე განათლება უნდა ჰქონდეთ მიღებული, როგორიც სახელმწიფო სკოლების მასწავლებლებს აქვთ მიღებული; მესამე, კანონ-პროექტი კერძო სკოლებისათვის სახელმწიფო კანტროლს აწესებს: ინსპექტორებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ, თუ რა პროგრამა, რა სახელმძღვანელოები აქვთ და რა მიმართულებას მისდევენ ამ სკოლებში.

◆ პალატამ ახალი წესი შემოიღო; დაადგინა, რომ პირდაპირის კენჭის ყრით აირჩიოს ის კომისია, რომელმაც კონგრეგაციების შესახებ შედგენილი კანონ-პროექტები უნდა განიხილოს. აქამდე კომისიის წევრებს ცალკე ბიუროები ირჩევდნენ კენჭის ყრით. ამიტომ კომისიის წევრთა არჩევანი უბრალო შემთხვევაზე ეკიდა და ამნაირად არჩეული კომისიები სულ არ შეეფერებოდნენ პარლამენტის უმეტესობის სურვილს. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ პარლამენტის უმეტესობისაგან მოწონებული კანონ-პროექტი არ მოსწონდა კომისიას: ან სულ მაუდს ქვეშ ამოსდებდა ამ კანონ-პროექტს, ან ისე შესცვლიდა, რომ პალატა იძულებული იყო ხელ-ახლად შეეცვალა. ყველა ამას კი ბევრი დრო სჭირდებოდა. ეხლა კი ისეთ კომისიას აირჩევენ, როგორსაც პარლამენტის უმეტესობა მოისურვებს. მთავრობის მომხრე უმეტესობის მეთაურებმა გადასწყვიტეს ახალ კომისიაში 25 კაცი თავიანთ პარტიების წევრები აირჩიონ: რადიკალ-სოციალისტები—8 კაცს აირჩევენ, რადიკალები—7, დემოკრატთა კავშირი—6 და სოციალისტები—4. კომისიაში სულ 33 წევრი უნდა იყოს. ასე რომ ოპოზიციას 8 ადგილი დარჩება. ამბობენ, პალატის უმცირესობას გადაუწყვეტია: რაკი საქმე ასეა, სულაც ნუ მივიღებთ მონაწილეობას არჩევანშიო.

ავსტრო-უნგრეთი. ამას წინად ხმა გავრცელდა, ავსტრიის იმპერატორის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი მემკვიდრეობის უფლებას თავის ძმის წულს კარლ-ფრანც-იოსებს უთმობსო. გაზ. „ნოიე ვინერ ტაგებლატ"-ი აცხადებს, ეს ხმა განგებ გაავრცელესო.

◆ როცა რეიხსრატში გალიციის მოძრაობის თაობაზე კამათი იყო, პოლონელ სოციალ-დემოკრატს ბრეიტერს ეთქვა, ჯარი ძლიერ ცუდად იქცეოდა გალიციაშიო. ერთს ოფიცერს ეს სიტყვები საწყენად მიუღია და ბრეიტერი დუელში გამოუწვევია.

◆ ჰუნგრეთის პარლამენტის საფინანსო კომისიაში სელმა გამოაცხადა, იმედი არა მაქვს, რომ ავსტრიასთან შეთანხმება მალე მოხდესო. ჰუნგრეთის ინტერესები ისე მტკიცედ რომ არ დამეცვა და ცოტა რამ დამეთმო ავსტრიისათვის, შეთანხმება აქამდე დასრულებული იქნებოდაო. მოლაპარაკება არც შეწყვეტილა, არც დასრულებულა. ზოგიერთი მუხლის თაობაზე კი ნამდვილად მოხდა შეთანხმებაო.

◆ ჰუნგრეთის ოპოზიცია დიდ სიხარულშია. მთავრობამ ხელად დასთმო და ჯარის რიცხვის მომატებაზე ისე მალე აიღო ხელი, რომ ოპოზიციამ ნამდვილ დემონსტრაციის მოხდენა ვერც კი მოასწრო. მინისტრ ფეიერვარიმ უარი გამოუცხადა იმპერიის მთავრობას: სათადარიგო ჯარიდან 20 ათას კაცს ვერ გადავიყვან მომქმედ ჯარშიო. ამ მოულოდნელმა უარმა საიმპერიო მთავრობაც გააკვირვა და ჰუნგრეთის ოპოზიციაც. ჰუნგრეთის მთავრობის ტაქტიკა ჭკუაში არ მოჰსვლია საიმპერიო მთავრობას. ამბობენ, პირველ მინისტრის სელის მდგომარეობა ძლიერ შეირყაო.

ახალი ამბავი

◆ ამ რამდენისამე დღის წინად გაზ. „ნოვ. ობოზრ."-მ დაბეჭდა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი **ბ-ნი ზავადსკი** კავკასიაში სამსახურს თავს ანებებსო. როგორც გადმოგვცეს, ეს ამბავი მართალი არ გამოდგა. ბ-ნ ზავადსკი ამ დღეებში ტფილისს დაბრუნდება.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა **დირექტორი ბ-ნ დიმიტრიევი**, როგორც გადმოგვცეს, სამსახურს თავს ანებებს.

◆ გუშინ, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიაში, კავკასიის საცენზურო კომიტეტმა პანაშვიდი გადაიხადა პეტერბურგში ახლად გარდაცვალებულის **ვ. ვ. იაკიმოვის სულის მოსახსენებლად.** პანაშვიდს საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ჰაკელი და ყველა ცენზორები დაესწრნენ.

◆ **ტფილისის ქალაქის საბჭოს** სხდომა 20 დარჩენილ საქმის განსახილველად დანიშნულია ხვალ, 25 ოქტომბრისათვის.

◆ **კადეტთა კორპუსის მთავრობამ**, როგორც გვითხრეს, გადაუწყვეტია ვერაზე შეიძინოს ადგილი და იქ ააშენოს კორპუსისათვის ახალი სადგომი.

◆ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განუზრახავს, **საბაღოსნო სკოლის ადგილი სულ ერთიანად გაჰყიდოს** და სხვა ადგილი შეიძინოს სკოლის მოსაწყობად. სკოლა ქალაქს გარედ უნდათ გადაიტანონ.

◆ აგრონომ ტიმოფეევის პროექტი **სამეურნეო ცოდნათა გავრცელების** შესახებ სამეურნეო საზოგადოების კომისიამ განიხილა და თავისი მოხსენებაც წარუდგინა საზოგადოების საბჭოს. კომისიას სრულიად მოუწონებია ბ-ნ ტიმოფეევის აზრი, მაგრამ ზოგ წევრს ისიც უთქვამს, რომ ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის სასოფლო სკოლებიც უნდა დაიხმარონო.

◆ თორმეტ კაცისაგან შემდგარ კომისიას უკვე დაუსრულებია **რევიზია ხელოსანთა გამგეობის საქმეებისა.** როგორც კომისიის მოხსენებიდანა სჩანს, ბ-ნ სერობიანცის დროს დაუხარჯნიათ, სხვათა შორის, 925 მან. 53 კაპ., რომელშიაც იყო შემოწირული ფული 50 მან., ჯარიმებისა—360 მან., საზოგადოების სახლის ასაშენებელი (შემოწირულება)—194 მან., პუშკინის ძეგლისათვის 238 მან. 2 კაპ. ეს ფული, კომისიის აზრით, სერობიანცს არავითარს შემთხვევაში არ უნდა დაეხარჯა, რადგანაც თავისი სპეციალური დანიშნულება ჰქონდა და ხელოსანთა გამგეობის საჭიროებებს არ უნდა მოხმარებოდა. ამას გარდა, სერობიანცს ჯერაც არ დაუბრუნებია იმის მიერ წაღებული 83 მან. 33 კაპ. ფულის უწეს-რიგოდ დახარჯვასა და 1896 წლიდან დაწყებული დღევანდლამდე ხარკების დარჩენას ხელოსნებზე კომისია აწერს ყოფილ მოურავის სერობიანცის უსაქმურობასა და დაუდევრობას. ახლო მომავალში მოხდება ხელოსანთა უსტაბაშებისა და დეპუტატების კრება, რომელსაც განსახილველად წარედგინება სარევიზიო კომისიის მოხსენება. როგორც გადმოგვცეს, სერობიანცი დღევანდლამდე არ ეკარება ხელოსანთა ახალ მოურავს, რომ ჩააბაროს საქმეები და საზოგადოების ფული.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს ცნობები მესამე ნაწილის **იმ ამომრჩეველთა შესახებ**, რომელნიც საარჩევანო კრებას დაესწრნენ.

◆ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიამ ამას წინად შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ **მესამე სესხის ახალი ობლიგაციები** გამოგეგზავნებათ მაშინ, როცა სახაზინო პალატას შეატყობინებთ რაოდენობას განაღდებულ ძველ ფორმის ობლიგაციებისას და აგრეთვე საჯაროდ გამოაცხადებთ, რომ ძველი ობლიგაციები ძალას ჰკარგავენ და ახლებზე უნდა შეიცვალონო. დღევანდლამდე შეიცვალა 187,3000 მანეთი ობლიგაცია და დარჩა შეუცვლელი 12,700 მანეთისა. ქალაქის გამგეობამ გუშინ მიჰმართა ფინანსთა სამინისტროს და სთხოვა, ნება დართოს შეუდგეს ეხლავე ახალ ფორმის ობლიგაციების განაღდებას. გამგეობამ თხოვნაში აღნიშნა, რომ ძალიან დავვიანდება, თუ 12,700 მან. დარჩენილ ობლიგაციების შეცვლას უცდით. ამასთან გამგეობა ატყობინებს მინისტრს, რომ ძველი ობლიგაციები ნამდვილი იქნება მხოლოდ 1903 წლის 1 მაისამდე; შემდეგ ქალაქის გამგეობა აღარ მიიღებს ამ ობლიგაციებს გამოსაცვლელადო.

◆ ოფიციალურად შეკრებილის ცნობებიდანა სჩანს, რომ წელს ტფილისის მაზრაში ჰირ-ნახული **საშუალოზე უფრო მეტი მოსულა.** ყველაზე მეტი მოჰსვლია სოფლებს: დურნუკსა, სამშვილდოს, კოდას, წინწყაროს, დაღეთ-ხაჩინს, დიღომს და ვაშლოვანს—ეს სოფლები მტკვრის მარჯვენა მხარესაა; მარცხენა მხარეს სოფლებში: საგარეჯოს, მატრყოფს, ნორიოსა, პატარძეულსა და ლილოს. მაღალ ადგილებში და მთელს ყარაიას, სადაც პური მოუმკელი დარჩა, რადგან მუშა ხელი არ იყო და ხალხი კი ზაფხულობით მთაში იხიზნება ხოლმე—მოსავალი ნაკლები იყო, რადგან ქარმა მოუსწრო და მარცვალი დასცვინდა.

◆ ამას წინად, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გუბერნიის ვეთალთა ინსპექტორი შეეკითხა ქალაქის გამგეობას აგვისტოში დაკლულ საქონლის რაოდენობის შესახებ. ინსპექტორი სწერდა: საყასბოს ცნობებით აგვისტოში 5000 სული წვრილ-ფეხა საქონელი დაუკლავთ შემოწმებული ვეითლებისაგან, ხოლო ქალაქის გამგეობის ანგარიშიდან კი სჩანს, რომ 28000 სული დაკლულა; მაშ **შეუმოწმებლად 23,000 სული საქონელი დაუკლავთო.** გამგეობის მიერ შეკრებილ ცნობებით, 23,000 სული საქონელიც ვეითლების შემოწმებით დაკლულა, მხოლოდ საყასბოს ანგარიშში არ მოჰყოლია, რადგანაც წვრილ-ფეხა საქონელი სავალდებულო დადგენილების ძალით საყასბოს გარეშეც იკვლება და ცნობები პირდაპირ გამგეობას ეგზავნება.

◆ საქარხნო ინსპექტორის ზედამხედველობა **ქალაქის სასაპნოსაც შეეხება.** ინსპექტორს მიუწერია ქალაქის გამგეობისათვის: საყასბოში განცხადება გამოაკარით, რომ იქ მოსამსახურეთ თუ რამ საჩივარი აქვთ გამოსაცხადებელი, შეუძლიათ ჩემს ბინაზე მოვიდნენ და იქ გამომიცხადონო.

◆ გუშინწინ **ქალაქის სკოლათა გამგებლები** შეიკრიბნენ, სკოლათა გამგე კომისიის თავმჯდომარის ი. ს. ალიხანოვის თავმჯდომარეობით, რომ მომავალ წლისათვის ხარჯ-აღრიცხვა განეხილათ. ეს ხარჯი განიხილეს და, სხვათა შორის, ისიც ითხოვეს სკოლათა გამგებლებმა, რომ თვიური ჯამაგირი ყველას ერთნაირად 62 მან. ეძლეოდეს და არა ისე, როგორც ახლაა ზოგისათვის ეს ჯამაგირი დაწესებულიო. მასწავლებლებმა ისიც ითხოვეს, რომ საკანცელარიო ხარჯებისათვის თითო სკოლას 12 მან. მაგიერ სამი თუმანი დაენიშნოს თვეში და ამ ხარჯით მოსწავლეთ უფასოთ დაურიგონ კალამი, ყარანდაში, მელანი და სხვ. წვრილმანი ნივთებიო.

ფელეტონი

ბ-ნ სიმონ ქვარიანის წერილების ყალბი ადგილები

ჩემი წინასწარმეტყველება ასრულდა. „ივერია"-ში დაბეჭდილ სიმონ ქვარიანის წერილს ბ-ნ ზდანოვიჩის წინააღმდეგ მოჰყვა პასუხი კიტა აბაშიძისა, იმის პასუხს იმავე სიმონ ქვარიანის პასუხი, რომელიც ერთ თვეს იბეჭდებოდა „ივერია"-ში. ეს საკვირველი არ არის. „ივერიამ" განაცხადა, სიმართლის გამოკვლევა გვინდა და ბ. ქვარიანის წერილს იმიტომ ვაძლევთ ადგილსაო, ქვარიანის თანამოაზრეებსაც შეუძლიანთ ჩვენს გაზეთში გამოსთქვან თავიანთი აზრიო. კარგა ხანი გავიდა, მაგრამ „ივერიის" რედაქციამ ვერსად აღმოაჩინა ბ. ქვარიანის თანამოაზრე. მაშინ ისევ სიმონ ქვარიანმა დაიწყო წერა, ვითარცა ერთად-ერთმა თანამოაზრემ სიმონ ქვარიანისამ.

აკი ვსთქვი, რომ აქ საკვირველი არა არის რა. საკვირველი აი რა გახლავთ. როდესაც ეხლანდელი რედაქტორ-გამომცემელი „ივერიისა" ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი საგუბერნიო მმართველობის მოხელედ იყო, შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი" წაიკითხა და იმდენი ყალბი ადგილები ჰნახა და გამოიკვლია, რომ შემეშინდა, მთელი „ვეფხის ტყაოსანი" ყალბად არა სცნოს-მეთქი. ეხლა კი, როდესაც „ივერიის" რედაქტორობა იტვირთა, მეორე დიდებულ და სახელოვან მგოსნისა და პუბლიცისტის სიმონ ქვარიანის წერილებში ვერც ერთი ყალბი ადგილი ვერა ჰნახა, თუმცა სიმონ ქვარიანის წერილები თავიდან ბოლომდე მარტო სიყალბეა და მეტი არაფერი.

დავეხმარები პატივცემულ რედაქტორს და რამდენიც ჰსურს, იმდენ ყალბ ადგილს ვუჩვენებ სიმონ ქვარიანის წერილებში.

ჯერ სულ მცირე რამ, წვრილმანიდან დავიწყებ, რითაც სიმონ ქვარიანი იწყებს თავისს წერილებს ზდანოვიჩისა, კიტა აბაშიძისა და თქვენის უმორჩილესის მონის, რგანელის, წინააღმდეგ.

კიტა აბაშიძე და რგანელი ზდანოვიჩის მიერ დაქირავებული კაცები არიანო, თვეში ას-ას მანეთს ღებულობენო. კიტა აბაშიძის შესახებ რა მოგახსენოთ, იქნება მართლა ღებულობს თვეში ას მანეთს, მაგრამ არა მგონია, ეს ფული იმისათვის ეძლეოდეს, რომ „ივერია"-ში წერილები სწეროს. „ივერია"-ში წერისათვის თვეში ასი მანეთი ჯერ არავის მიუღია. არა მგონია, რომ თვით ილია ჭავჭავაძეს რგებოდეს როდისმე თვეში ასი მანეთი „ივერია"-ში წერისათვის. თუ ეხლა ბ-ნი სარაჯიშვილი რედაქტორობაში თვეში ას მანეთს იღებს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. თუ კიტა აბაშიძეც ზდანოვიჩისაგან თვეში ას მანეთს იღებს, უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა რამ საქმეში აძლევენ და არა იმისთვის, რომ „ივერია"-ში წერილები სწეროს.

მე, რგანელს, რაღას მერჩის სიმონ ქვარიანი? მეც თვეში ას მანეთს ვიღებ? რა იცის ჩემი ვინაობა სიმონ ქვარიანმა? მე სრულებითაც არ მითხოვნია „ცნობის ფურცლის" რედაქციისათვის, ჩემი ვინაობა ან ბ. ქვარიანსა ან სხვა ვისმეს შეატყობინეთ მეთქი. თუ სიმონ ქვარიანს ჰსურს ჩემი ვინაობის შეტყობა, მოვახსენებ მე—რგანელი ნინო გახლავართ, მკითხავი. არ გაიკვირვოთ, ბ-ნო ქვარიანო. თუ კოდელი ნინო არის, რატომ რგანელი არ უნდა იყოს?

დიაღ, მე, რგანელი ნინო, ვაცხადებ, რომ არასოდეს ბ-ნ ზდანოვიჩისაგან არავითარი ფული არ მიმიღია და არც სამსახურში სადმე გახლავართ.

ხუმრობა იქით იყოს და როდესაც „ივერიის" რედაქტორმა სიმონ ქვარიანის წერილში ამოიკითხა, რგანელი თვეში ას მანეთს ღებულობსო, რატომ არ იფიქრა, რომ ეს ადგილი ყალბია, რომ შესაძლებელია, რგანელი ის ადამიანი არ იყოს, ვინც სიმონ ქვარიანსა ჰგონია. ან რომელ რედაქციის ტიბიკონში სწერია, ერთი მიბრძანეთ, ავტორის ფსევდონიმის გამოცნობა. არა, ეს ადგილი სიმონ ქვარიანის წერილში მეტად ყალბია.

სიმონ ქვარიანს შეეძლო დაეწერა ეს, მაგრამ რედაქტორს კი უეჭველად ყალბ ადგილად უნდა მიეჩნია და წაეშალა.

ეს ერთი ყალბი ადგილი. მეორე გნებავთ? აი მეორეც. სიმონ ქვარიანი სწერს: ბ-ნმა ზდანოვიჩმა თავის ნებით წესდება შესცვალაო. მტკნარი სიყალბეა. „შავი-ქვის" ამხანაგობის წესდება, დამტკიცებული ნოტარიუსის მიერ ამა წლის 9 თებერვალს, არაოდეს არ შეცვლილა. ამ წესდების დაბადების დღე გახლავთ 1902 წლის 9 თებერვალი. სიმონ ქვირიანი კი ამბობს, წესდება დაბადებამდე შესცვალა ზდანოვიჩმაო. მეტი სიყალბე განა იქმნება? ვსთქვათ, წესდება სიმონ ქვარიანმა დასწერა, მერე ათასჯერ შესწორდა და შეიცვალა, ათასჯერ გადიწერა და ბოლოს დამტკიცდა. რას ეძახის სიმონ ქვარიანი წესდებას? ათასჯერ გადაწერილს პროექტს წესდებისას, თუ იმ წესდებას, რომელსაც ამხანაგობებმა ხელი მოაწერეს და ნოტარიუსმაც დაამტკიცა 9 თებერვალს? განა ქვარიანმა არ იცის ესა, მაგრამ მეტი რა გზა აქვს, შავი უნდა გაათეთროს და დაამტკიცოს, წესდება შესცვალესო. ვსთქვათ, ქვარიანმა რომ პროექტი დასწერა, ის პროექტი ზდანოვიჩმა სულ ერთიანად შესცვალა და ახალზე მოაწერინა ხელი „შავი-ქვის" ამხანაგობის წევრებს; ვსთქვათ, ეს ფაცა-ფუცითაც მოახდინა, როგორც ქვარიანი ბძანებს, ვსთქვათ, ძალაც დაატანა წევრებს და სულ თავში სცემა

◆ **ტფილისის ვაჭართა საკრებულოს** კარგი საქმე განუზრახავს. აქაურ საკომერციო სასწავლებელში ცოტა არ არის თურმე შეუძლო მოსწავლე. ვაჭრებს უნდათ ისეთი წყარო გამოსძებნონ, რომ შეუძლებელ მოსწავლეთ იქიდან დახმარება მისცენ. ამ საქმის გამოსაკვლევად მომავალ ნოემბრის შუა რიცხვებში ვაჭართა კრება იქმნება მოწვეული.

◆ ტფილისში მცხოვრებ ბერძნებს მოუწადინებიათ, ღარიბ **მოსწავლე ბერძენთა დამხმარებელი საზოგადოება** დააარსონ. ეს „საზოგადოება" ერთად-ერთი საზოგადოება იქნება ბერძენთაო—ამბობს „ნოვ. ობოზრ."—და ამ თავად თუმცა ბევრს არ გამოუცხადებია „საზოგადოების" წევრობა, მაგრამ, იმედია, კავკასიის ყველა კუთხიდან დიდის თანაგრძნობით მიეგებებიან ამ კეთილ საქმესაო.

◆ ქალაქს განზრახვა აქვს რამდენსამე ალაგას **ბაკები გაჰმართოს.** ტეხნიკოსებმა პროექტიც შეადგინეს. ბაკებთან ერთად დუქნები, საჩაიე და ოთახები უნდა იქმნეს გამართული საქონლის პატრონებისათვის. პროექტით 17 ბაკი უნდა გაკეთდეს, თითო 50 სულ საქონლისა და სულ ხარჯი უანგარიშნიათ ტეხნიკოსებს 56 ათასი მანეთი.

კომისიამ განიხილა ეს პროექტი და დაადგინა, რომ ქალაქს ახლა არ შეუძლია ამდენი ხარჯის ატანა და ამ თავით მხოლოდ ერთი ბაკი გაჰმართოს ასი სულის საქონლისათვის, მაგრამ ისე, 25 ათას მანეთზე მეტი არ დაჯდესო. ამის თანახმად ახალი პროექტი უნდა შეადგინოს ტეხნიკოსმა. კომისია დღეს აარჩევს ავლაბარში, ან ნავთლუღში ადგილს ამ ბაკის ასაგებად.

◆ დღეს სასანიტარო-საექიმო საბჭოს კრებაა დანიშნული. განიხილავენ **ქალაქის საავადმყოფოს დაარსების** და საავადმყოფო კერძო გადასახადის შემოღების საქმეებს. საბჭოს, სხვათა შორის, განსახილველი აქვს კიდევ ორის დროებით საავადმყოფოს დაარსების საქმეც.

◆ მომავალ იანვრის 3-დან 12 რიცხვამდე პეტერბურგში გაიმართება **საბეითალო გამოფენა** და ბეითალთა კრებაც. სასანიტარო-საექიმო საბჭო სთხოვს ქალაქს, ამ კრებებზე დასასწრებლად ქალაქის ბეითალი კანცელმახერი გაიგზავნოს, რადგან ბევრი საყურადღებო საგნები იქმნება განხილული ამ დროსაო.

◆ სენატმა განმარტა, რომ **ვინც ბერად შედგება**—ყოველ ქონებაზე უარი უნდა განაცხადოს, უძრავსა და მოძრავზედაც. სანამ ბერად შედგება, თუ მანამდე თავის ქონების შესახებ არავითარი განკარგულება არ მოუხდენია ბერად შემდგომს, ამ შემთხვევაში იმის ქონებას მემკვიდრეები კანონისამებრ დაეპატრონებიან.

◆ მეტეხის ციხის მღვდელი მ. ჯავაშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „უღრმეს მადლობას ვუცხადებ იმ საზოგადოებასა და პირთ, ვინც კეთილ ინება და ქართული წიგნები შემოსწირეს მეტეხის ციხის წიგნთ-საცავს; სახელდობრ: ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც ერთი თუმნის წიგნები შემოსწირა, წიგნების გამომცემელ ქართვ. ამხანაგობას, რომელმაც აგრეთვე ერთი თუმნის წიგნები შემოსწირა, შიო არაგვისპირელს—ორი ცალი თავის თხზულებათა, დ. სარაჯიშვილს სამის წლის „მოამბე", ი. იმედაშვილს—5 მანეთის წიგნები, წიგნების გამომცემელ ქუთ. ამხანაგობას, და ბ. დაზარევს, რომელმაც 4 კარი ყარამანიანი შემოსწირა. ამასთან არა ვკარგავთ იმედს, რომ პატივცემული საზოგადოება არ დაიშურებს თავის წვლილს ფულით თუ წიგნებით დახმარება გაუწიოს თავის ბეჩავ მოძმეთ, რომელთათვისაც ერთად-ერთი წიგნი შეადგენს თავის გასართობს".

◆ ვაჟების 1-ლ გიმნაზიის ერთი დასი ამ დღეებში ქუთაისს გაემგზავრა. იქიდან მოწამეთას და გელათს ასულან, დაუთვალიერებიათ იქაურობა და კარგად ნასიამოვნები ტფილისს დაბრუნდნენ.

◆ ღარიბთა სამზრუნველო სთხოვს ქალაქის გამგეობას: ავლაბარში, როზოვის მოედანზე, პატარა ბაღი გააშენეთ, რომ იქ ბავშვებისათვის სათამაშოები გაიმართოს ისე, რომ სხვა ხალხი არ შემოერიოს ბავშვებსაო.

◆ ავჭალაში დიფტერიტი გაჩენილა. მთავრობას მაზრის ექიმი კლიაჩინი გაუგზავნია ავადმყოფთა დასახმარებლად და სენის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად.

◆ თავ. დუარსაბ როსტომის ძე ბეგთაბეგიშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „ცნობის ფურცელ"-ში იყო მოხსენებული, ვითომც სოფელს გაყაში ცეცხლი წაუკიდეს თავადის დუარსაბ ბეგთაბეგიშვილის სახლს. ეს შეცდომილი ცნობაა გამოგზავნილი კორესპონდენტისაგან: ცეცხლი მოუკიდეს სოფელს გაყაში თ-დის დავით ბეგთაბეგიშვილის შენობებს. ერთის კვირის განმავლობაში დაუწვეს საბძელი, მერე თივა და მესამედ სახლს წაუკიდეს ქვითკირისას, რომელსაც დაეწვა აივანი. დამწველს მოასწრო ბიჭმა მოკიდების დროს. მოსამსახურე არის გაყელი მცხოვრები და მეზობელს, რომელმაც ცეცხლი მოუკიდა, კარგად იცნობს."

◆ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ოლქის სასამართლომ მიუსაჯა დანდუროვს ასი თუმანი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან. ამ საზოგადოებამ ასი თუმანი ხაზინაში შეიტანა ოლქის სასამართლოს სახელობაზე და საქმე-კი სამოსამართლო პალატაში კასაციით განასაჩივრა.

◆ 22 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე, ნავთლუღიდან მოიტანეს პოლიციის მე-9 ნაწილში 24 წლის გიორგი ტერ-აბრამოვის გვამი. ტერ-აბრამოვი, რომელიც უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდა, ამ ღამეს ერთს თავის ნაცნობის ეზოსთან, ნავთლუღში, რევოლვერის ტყვიით მოკლული უნახავთ.

* * *

რუსეთის ქრონიკა

◆ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს რკინის გზებზე მოსამსახურეთა ახალი შტატები შემოიღოს. ამის შესახებ მოხსენებას სამინისტრო ამ წლის დამლევს შეიტანს სახელმწიფო საბჭოში.

◆ ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მღვდლებს მაშინ, როდესაც ზიარება ან სხვა რამ წესია საჭირო, ნება მიეცეთ მსწრაფლ მატარებლებით იმოგზაურონ ხოლმე.

◆ გზათა სამინისტრომ დაავალა რკინის გზის გამგეობებს სახალხო მატარებლებში თან-და თან შემოიღონ ელექტრონით განათება.

◆ გადაწყვეტილია მომავალ წლიდან სახელმწიფო რკინის გზებზე დააარსონ სატელეგრაფო სკოლები. ამ ჟამად ადგენენ პროგრამას ახალ სკოლებისათვის.

◆ 13 დეკემბერს დაიწყება სასოფლო მეურნეობის მეორე კრება. კრებამ საცდელ და სამაგალითო მინდვრების თაობაზე უნდა მოილაპარაკოს. მონაწილეობის მისაღებად ბევრი მცოდნე კაცი მიიწვიეს. მიიწვიეს: საცდელ მინდვრების გამგენი, მათი თანაშემწენი, უნივერსიტეტის და სპეციალურ სასწავლებლების პროფესორები, საერობო აგრონომები, საუფლისწულო უწყების მოხელენი და სხვანი. სულ 400 კაცამდეა მიწვეული. დღემდე 50 მოხსენება დაუმზადებიათ. კრება 20 დეკემბრამდე გასტანს.

◆ 2 ნოემბრიდან პეტერბურგში გამოვა ახალი იურიდიული გაზეთი, სახელად „იურისტი". რედაქტორებად ნ. პ. კარაბჩევსკი და ლ. დ. ლიახოვსკი იქმნებიან. სხვათა შორის, ამ გაზეთში ითანამშრომლებს დოროშევიჩიც.

◆ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად შემდგარმა კომისიამ (ვიტტეს თავმჯდომარეობით) სხვა შუამდგომლობათა შორის მიიღო სმოლენსკის ერობის შუამდგომლობაც. იგი შეეხება გლეხთა კერძო ვალების გასტუმრებას. დღეს, ნათქვამია შუამდგომლობაში, კერძო მოვალეს შეუძლიან გაჰყიდოს მთელი უძრავი ქონება გლეხისა. ხშირად ეს ქონება ვერ იხდის ვალს, მოვალე უკმაყოფილო რჩება, ხოლო გლეხი უნუგეშო, რადგან გაყიდვის შიშით არ შეუძლიან ახალის ცხენის ან ძროხის შეძენა. ერობის აზრით, ეს წესი უნდა მოისპოს. იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების გაყიდვა დამღუპველია გლეხისათვის, გაყიდვის ნება არ უნდა მიეცეს მოვალეს. შეიძლება, ერობის აზრით, ამ შემთხვევაში გლეხებს საზოგადო სამუშაო აუჩინონ, როგორც სახელმწიფო გადასახადების დროს არის მიღებული.

პრესა

„ივერია"-მ გუშინ მოულოდნელად გაიხსენა ძველი პოლემიკა ჩვენთან „ბოიკოტისა", სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა და სხვა ამგვარ საგანთა შესახებ. საპოლემიკო წერილში ახალი არა არის-რა არც არსებითად, არც პოლემიკურ საშუალებათა მხრით. „ივერია" კვლავ იმას გვიკიჟინებს, რაც ჩვენ აზრადაც არასოდეს მოგვსვლია. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ ჩვენ ნათლად გამოვთქვით ის აზრი, რომ ჩვენს ერს ჰმართებს დაუღალავი მუშაობა და ეკონომიური ბრძოლა-გაღონიერება, რათა თავისთავის შესაფერი ადგილი დაიჭიროს და თავისი მომავალი უზრუნველჰყოს. ხოლო ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებლად არ ჰხდის ჩვენსა და სომხების ერთობას სამოქალაქო ნიადაგზე; პირიქით, მრავალ საერთო ინტერესის დასაცველად ასეთი ერთობა სასარგებლო და საჭიროა. კერძოდ ქალაქის არჩევნების შესახებ ჩვენ იმ აზრის ვიყავით, რომ ამ სფერაში ერთობა საჭიროა, რომ ეს უნდა შეიგნოს სომხობამაც, თუ არ უნდა თავისთავის დაღუპვა; ამასთანავე ჩვენ ნათლად ვამტკიცებდით, რომ დღევანდელ პირობებში სომხის ბურჟუაზიაა არჩევნების ბატონი და იმედი მხოლოდ იმისა გვქონდა, რომ დღევანდელ პირობათა მიხედვით სომხის ბურჟუაზია ვერ გამოიჩენს გადაჭარბებულ შოვინიზმს. აი მოკლედ ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ, რომელსაც არა ერთი წერილი ვუძღვენით და ჩვენმა მკითხველებმაც იციან „ცნ. ფურცლის" ეს შეხედულება. „ივერია"-ს კი ჰსურს ჩააგონოს თავის მკითხველებს, ვითომ ჩვენ გვწადია დავაძინოთ ქართველები, დავაჯეროთ ისინი, რომ არავითარი ბრძოლა საჭირო არ არის და სხვა. საოცარია „ივერიის" პოლემიკური იარაღი! „ცნ. ფურცლის" არსებობა ყელზე დაადგა სწორედ, თორემ სხვით რით ავხსნათ „ივერიის" ცდა დაგვწამოს ისეთი რამ, რასაც **არც ერთი გაზეთი** დედა-მიწის ზურგზე არ იტყვის?! აი ნიმუშები:

1) დღეს კი უმთავრეს იარაღად, სწერს „ივერია", *წინააღმდეგ „ცნობის ფურცლისა"*, (კურსივი ჩვენია) უნდა მივიჩნიოთ სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში.

2) „ივერია"-ს ესმის მიზეზი ამ დაქვეითებისა და თავის დროშაზე დაუწერია *არა დაცინვა* (კურსივი ჩვენია), არამედ მხნე, სერიოზული შრომა კულტურისა და განათლების ნიადაგზე.

აი სადამდის მიაღწია „ივერიის" სურვილმა—რითაც უნდა იყოს დაამდაბლოს მეორე ქართული გაზეთი! „ცნ. ფურცელი" ხალხში განათლების წინააღმდეგიაო და თავის დროშაზე დაუწერია ქართველების დაცინვა! ასეთის პოლემიკურის გადაჭარბებით შორს ვერ წავა „ივერია" და თავგამოდებული ცდა ამაოდ ჩაუვლის...

რაც შეეხება არსებითად საპოლემიკო საგანს, შემდეგი უნდა მოვახსენოთ „ივერიის" მეთაურის ავტორს: წინად ავტორი ამბობდა: როდესაც ქართველი ერი შეიგნებს სომხებისაგან დამონებას, ბოიკოტს გამოუცხადებს სომხებს, ე. ი. არც არაფერს იყიდის მათგან, არც არაფერს მიჰყიდისო და მაშინ სომხები გადასახლდებიან საქართველოდანო.

ყველას, მოდით, მოაწერეთ ხელი წესდებასაო. რატომ ერთმა კაცმა არა სთქვა: კაცო, უწინდელი წესდება რად შესცვალე, ხელს არ მოვაწერო. სხვამ თუ არა სთქვა ვინმემ, რატომ თვით ქვარიანმა არ დასძრა ენა? რატომ არ გაუწია ბ-ნ ზდანოვიჩს წინააღმდეგობა? ეხლა რომ ბ-ნი ქვარიანი დაცინვით ზდანოვიჩს „სახელოვანს მოღვაწეს" ეძახის, უწინ გულწრფელად (?) რად ეძახდა იმავე კაცს სახელოვანს მოღვაწეს? რამდენ წიგნაკსაც გამოსცემდა სიმონ ქვარიანი, ეს ჩვენის დროის ენციკლოპედისტი, ღვინის დაყენება გინდათ, ლექსები გინდათ, მოთხრობა გინდათ, თითოეულ წიგნაკს ზედ აწერდა: „ჩვენს სახელოვანს მოღვაწეს გიორგი ფელიქსის ძეს ზდანოვიჩს მისის პატივისმცემლის სიმონ ქვარიანისაგანაო". ეხლა დრონი იცვალნენ, განა? ეხლაც „სახელოვანს მოღვაწეს" ეძახის სიმონ ქვარიანი ზდანოვიჩსა, მაგრამ დაცინვით კი. რა ვუყოთო, იტყვის ქვარიანი, ეხლა აზრი გამოვიცვალე, მაშინ ვსცდებოდიო. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს სიმონ ქვარიანი და კიდევ მრავალჯერ შესცდება თავის სიცოცხლეში. ამაზე ხომ უარს არ იტყვით, ბ-ნო სიმონ, რომ გიბოძებიათ ზდანოვიჩისათვის თქვენი მშვენიერი ლექსები იმ ზედ წარწერით? შენ რა იციო, მეტყვით, როგორ არ ვიცი, შვილო, მკითხავმა ნინო რგანელმა აბა რა არ იცის?

აი კიდევ ერთი სიყალბეც ვიცი, რომელიც „ივერიის" რედაქტორმა ვერ შეამჩნია. სიმონ ქვარიანი სწერს:

„ზდანოვიჩმა ჩაიდინა ბევრი რამ იმ გვარი საქციელი, რომელმაც ააშფოთა ზოგიერთი შეგნებული პირნი. ამის მიზეზით იყო, რომ გაშორდა საქმეს ერთი სერიოზული ჯგუფი „იმედი".

რა ჯგუფია ეს სერიოზული ჯგუფი. ის ჯგუფი გახლავთ, რომელშიაც ბძანდებოდა სიმონ ქვარიანი. რად გაშორდა საქმეს ეს ჯგუფი? იმიტომაო, ბრძანებს ბ-ნი ქვარიანი, რომ ზდანოვიჩმა ბევრი რამ იმ გვარი საქციელი ჩაიდინაო, რომ ზოგიერთნი შეგნებულნი პირნი ააშფოთაო.

ყალბი ადგილი გახლავთ. 27 მარტს ამა წლისას ქვარიანმა თხოვნა მისცა „შავი-ქვის ამხანაგობის" საბჭოსა და გამგეობას. ამ თხოვნაში სწერია:

„კვინიხიძე („იმედის" წარმომადგენელი) და ანდრონიკოვი იმ თავითვე უარობდენ და არავითარი გზით არ სურდათ მოეწერათ ხელი საერთო ამხანაგობაზედ ე. ი. „შავი-ქვის" საზოგადოების პირობაზედ, მაშინ როდესაც ამ სრულ ამხანაგურ პრინციპს სხვებთან ერთად მეც მტკიცეთ ვადექი კომისიაში და დღემდე მწამს იგი სასარგებლოდ. შესდგა „შავი-ქვის" საზოგადოება და დარჩა ერთად ერთი „იმედი" ხელმოუწერელი. ამ ჯგუფის წარმომადგენელი შეიქმნა ბ. კვინიხიძე, რომელსაც მიემხრნენ დანარჩენი წევრები (ქვარიანის გარდა). არავითარმა რჩევამ და საბუთმა ჩემის მხრით არ გაჭრა ბ. კვინიხიძეზე და არ მოაწერა ხელი საერთო პირობას. მან წარმოადგინა თქვენთან განსაკუთრებული აზრი, რომელსაც სიტყვით და მოწერილობით ვეწინააღმდეგები დღემდე".

შემდეგ სიმონ ქვარიანი სწერს, ნება და დრო მომეცით, რომ ახალი ჯგუფი შევადგინოო. განა ნათლად არა სჩანს ეხლა სიყალბე იმისი, რასაც სიმონ ქვარიანი სწერს? სერიოზული ჯგუფი „იმედი" იმიტომ მოშორდა ამხანაგობას, რომ ზდანოვიჩმა ბევრი რამ ცუდი საქციელი ჩაიდინაო. ამ თხოვნაში კი ამბობს, რა ვქნა, ვერ დავაჯერე "იმედის" წარმომადგენელი, არავითარმა ჩემმა რჩევამ და საბუთმა არ გასჭრაო. დრო მომეცით, რომ ეხლა სხვა ჯგუფი შევადგინოო. მეტი სიყალბე გნებავთ? განა ამ სიყალბეს კიდევ დამტკიცება სჭირდება? ვერ დაინახა სიყალბე მხოლოდ „ივერიის" რედაქტორმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა. იქნება რედაქტორმა მითხრას, შენ, რგანელო მკითხავო ნინოვ, ეგ ამბავი გცოდნია და მე არაო, მე ხომ არც კოდელი ნინო ვარ და არც რგანელიო. მართალი ბძანება იქმნება, მაგრამ რატო არ ჰკითხა სიმონ ქვარიანს: კაცო, ცხრამეტი ჯგუფის შემდგენელო, რატომ ერთს ჯგუფს არ შერჩი? თუ არ გინდოდა, მაშ ან რას დარბოდი ჭიათურა-ჭიქოურში, ან 5000 მანეთის ვექსილს რად აძლევდი ზდანოვიჩს? შენი ვექსილი და სხვისა ხომ ერთი არ არის? ეხლა რომ შენი ვექსილი მანგან-სინდიკატმა გერმანიის სახელმწიფო ბანკში შეიტანოს, უჩოტი უქნას და მერე არც ვექსილი და არც ფული არ დაგიბრუნოს, ხომ დაიღუპე კაკალი კაცი!.. ეგ სერიოზული ჯგუფი რომ მოშორდა ამხანაგობას, შენც ხომ სერიოზული კაცი ხარ, რატომ შენც არა შორდები და კიდევ ნებასა და დროს თხოულობ ახალის ჯგუფის შედგენისათვის. სიმონ ქვარიანი იტყვის: მაშინ მსურდა ამხანაგობაში ყოფნა და ეხლა არაო. მეც ვიცი, რომ ეხლა აღარა ჰსურს. არ არის კარგი, ბ-ნო სიმონ, იმდენი ირბინეთ ჭიათურა-ჭიქოურში, მაღნებშიაც-კი, 19 ჯგუფი შეადგინეთ, ამხანაგობა დააარსეთ და ეხლა კი ღვთის ანაბრობაზე სტოვებთ იმ ცხრამეტს ჯგუფს, რომელთა შორის მხოლოდ ერთი გამოდგა სერიოზული. ბ-ნო სიმონ, მაგ სერიოზულ ჯგუფს რა თქვენი პატრონობა უნდა, იმ არა სერიოზულ 18 ჯგუფს უპატრონეთ, თუ ღმერთი გწამთ, შეიბრალეთ, ნუ დაღუპავთ ზდანოვიჩის ხელში, ის ერთ დროს იყო სახელოვან მოღვაწედ, როდესაც თქვენ მშვენიერ ლექსებს უძღვნიდით, ეხლა ხომ ის ოლიგარხი და უზურპატორია... ეხლა თქვენა ბძანდებით სახელოვანი მოღვაწე.

(დასასრული იქნება)

ახლა ავტორი გვიმარტავს: ეს სომხების გადასახლება **შორს** მომავალში მოხდება. თანაც უმატებს, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს სიტყვებს იმის შესახებ, რაც შესაძლებელია იქმნეს, ვინ იცის, როდისო.

მაშ რისთვის იმტვრევს და იმტვრევდა თვითონ ავტორი თავს უმნიშვნელო სიტყვებისათვის? რად წინასწარმეტყველობდა, თუ როგორც თვითონ ამბობს, არავის არ ძალუძს იწინასწარმეტყველოს დაჭეშმარიტებით და შეიძლება მისი სიტყვა არც-კი გამართლდეს? და თუ მისი სიტყვა არ გამართლდა, სომხები ხომ ისევ აქ დარჩებიან და საქართველო დამონებული იქნება? მაშინ რაღა აზრი აქვს ჩვენის ავტორის წერილებს?

მაგრამ თუ ასე საეჭვოდ მიაჩნია ავტორს დღეს ბოიკოტი აღმოსავლეთ საქართველოში, ორისავე თვალით ჭხედავს მას დასავლეთ საქართველოში და წინანდებურად გაიძახის: ბოიკოტი დიდი ხანია არსებობს იმერეთშიო. თავმომწონედ გვისაყვედურებს: ჩვენ კარგად ვიცით, რა არის ბოიკოტი და კონკურენციაო და საბუთად ის მოჰყავს, რომ ზუგდიდისა და ოზურგეთის **ვაჭრები** ყოველთვის მალე ამოაკვეთინებენ სომხებს ფეხს მათს ქალაქში.

ჩვენ კიდევ უნდა განვუმეოროთ ავტორს, რომ მან კიდევ არ იცის, რა არის ბოიკოტი. ზუგდიდის თუ ოზურგეთის **ვაჭრები** ებრძვიან **სავაჭროდ** მოსულს, **ვაჭარს** სომხებს, და ეს კონკურენციაა და არა ბოიკოტი.

„ცნობის ფურცელს“ ეგონაო, ბრძანებს ავტორი: სომხები ქართველებს გაათეთრებდნენო არჩევნებზე, და რა კი იმედი გაუცრუვდა, ძალიან გაუჯავრდა სომხებსო. ამაზე მოკლედ მოვახსენებთ, რომ ჩვენს გაზეთს არასოდეს არ მოსვლია ფიქრადაც, რომ **მთელი** ამომრჩეველი სომხობა სამართლიანობას არ უღალატებდა და სომეხ-ქართველთა ერთობას მხარს დაუჭერდა.... სომხებში არიან ჩვენთან კარგის განწყობილების მომხრენი, ეს დაამტკიცა წასრულმა არჩევნებმაც. სამწუხაროა, რომ ცოტაა ასეთი მომხრე დღეს, მაგრამ ეს არ გვაგდებს სასოწარკვეთილებაში და არ გვიბადავს უიმედობას.

თეატრი

დღეისთვის ქართულ თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია ზუდერმანის დრამა „სოდომის წარღვნა“. ეს პიესა შარშან წარმოადგინეს პირველად და საზოგადოებას მოეწონა. მონაწილეობას დღეს მთელი დასი იღებს.

—

კვირას, 27 ოქტომბერს, სახალხო თეატრში სცენის მოყვარენი გამართავენ წარმოდგენას საკონცერტო განყოფილებით. წარმოსადგენად დანიშნულია ქ-ნ აზიანის კომედია „გაცრუებული იმედები“.

დაბა-სოფლები

—

ყარაჯალა (კახეთი). ამ ბოლო დროს ამ სოფელში შესამჩნევად გახშირდა სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება: ქურდობა, დაწვა, ერთმანეთის შურის ძიება. ახლა ქალის მოტაცებასაც მიჰყვეს ხელი. 18 ოქტომბერს, ღამე, ამ სოფლის მცხოვრები მაჰმად ქოსა ოღლი სამი ამხანაგით მისულა ჰამზა-ჰამზა-ოღლის სახლში, როდესაც ეს უკანასკნელი შინ არა ყოფილა, წაუყვანია მისი გასათხოვარი ქალი ხანუმ-აღმაზ-კიზი და იმ ღამეს თავისთან ჰყოლია იმავე სოფელში. მაჰმად-ქოსა-ოღლი წინადაც თურმე დადიოდა მათ ოჯახში, ნათესავიც ყოფილა და უთხოვნია-კიდეც ქალი, მაგრამ მამას ბევრი ქრთამი მოუთხოვნია. რადგანაც საქმროს არ შესძლებია იმდენის გადახდა, ამდგარა და მოტაცებით წამოუყვანია ქალი, რომელსაც თანხმობა გამოუცხადებია გაყოლაზე. მეორე დღეს ქალის მამამ პოლიციას მიჰმართა, ქალი მომტაცეს და გამქურდეს კიდეცაო. პოლიციამ იმავე დღეს შეიპყრო ძალად მეფე მაურითონით, რომელნიც სოფელში ყოფილიყვნენ, და ყველანი გამომძიებელს გადასცა.

დ—შვილი.

—

ამაღლება (იმერეთი). 13 ამ თვეს მოვიდა ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა“-ს თავმჯდომარე ი. ქუთათელაძე ბამბის წარმოებისათვის ამხანაგობის განყოფილების დასაარსებლად. ბ-ნმა ქუთათელაძემ წარმოსთქვა სიტყვა და დაასურათა დღეს არსებული ბამბის წარმოების საქმე. ამის შემდეგ ბევრმა განაცხადა სურვილი პაის შეძენისა და ამხანაგობის წევრად ჩარიცხვისა. თავ. ვლადიმერ და გიორგი ჩიჯავაძეებმა უფასოდ დაუთმეს განყოფილებისათვის სახლი და ადგილი, რისთვისაც ქუთათელაძემ დიდი მადლობა გამოუცხადა. შემდეგ არჩეულ იქმნა პაის პატრონთაგან კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ბამბის ყიდვასა და წონვას. 14 ოქტომბერს, მეორე დღეს, განყოფილება, რომელსაც განაგებენ ამხანაგობისაგან გამოგზავნილნი პირნი და ზემო მოხსენებული კომისია, კიდეც შეუდგა მოქმედებას. ყველამ ვიცით, რა მდგომარეობაშია გლეხ-კაცი. წვა-დაგვით დამზადებული სოფლის ნაწარმოები ჩარჩ-ვაჭარს გროშის ფასად მიაქვს. იმედია, ახლად დაარსებული განყოფილება „კოლხიდა“ ამ მხრივ შემწეობასა და დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მშრომელს.

ვ. ბზვანელი

ერთის რეცენზიის გამო

(წერილი ქუთაისიდან)

„მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“, იტყვიან. ეს მე გამოცდილებით ვიცადე, როდესაც 12 ოქტომბერს ქუთაისში გამართულ სახალხო წარმოდგენის შესახებ („ციმბირელი“ ავქ. ცაგარლისა) გწერდი რეცენზიას და სწორედ ამისთვის წარვუმძღვარე მას პატარა წინასიტყვაობასავით, მაგრამ ლანძღვა-გინება მაინც არ ამცდა. და მერმე რისთვის, იცით? მხოლოდ იმისთვის, რომ არა ვსთქვი, ქალბატონებმა თავზარაშვილმა, საჩხერელმა და გიგაურმა შეუდარებლად ითამაშეს-მეთქი, არამედ ვამბობდი: არც მათ „უშავდათ რამე, თუმცა ხანდახან კი იბნეოდენ, როგორც სცენაზე პირველად გამოსული, ნამეტურ უკანასკნელი“. აი, ამ სიტყვებმა ასტეხეს ერთი აღიაქოთი და თითქოს მომაკვდინებელი ცოდვა ჩამედინოს, ისე მისაყვედურებენ: „რისთვის აგინე ეს მანდილოსნები, როდესაც მათ კარგად ითამაშესო“. და ამას მისაყვედურებენ ისეთი მანდილოსნებიც კი, რომელნიც წარმოდგენას არც კი დასწრებიან! ყველას საყვედურს ავიტანდი, მაგრამ არ შემიძლიან უყურადღებოდ დავტოვო ერთის პატივცემულ მანდილოსნის საყვედური: „რომ გალანძღე ის მანდილოსნები, აწი ხომ აღარ მოეკარებიან სცენას და უსათუოდ მათ მაგივრად შენ უნდა ითამაშოო“. ვინც ჩემს წერილს წაიკითხავს, თუ თავს ძალას არ დაატანს, ჩემგან მანდილოსნების გინებას ვერ დაინახავს; მე ვამბობდი, „არა უშავდათ“-თქო, და თუ ვსთქვი, „ნამეტურ უკანასკნელი იბნეოდა“-თქო, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ქ-ნი გიგაური რეპეტიციების დროს მანდილოსნებში ყველას ჯობდა, გარდა—რასაკვირველია—ქ-ნ ქავთარაძისა; წარმოდგენის დროს კი ყველაზე უფრო ის დაიბნა; და ამ გარემოებას მე იმით ვხსნიდი, რომ ის სცენაზე პირველად იყო გამოსული. აქ, ჩემის ფიქრით, არაფერი ლანძღვაა. პირველად სცენაზე გამოსვლას თუ არაფერი უშავს, ეს იმის ნიშანია, რომ მას სასცენო ნიჭი ჰქონია. გინება სწორედ ის იქნებოდა, რომ მათდა დაუმსახურებლად მეთქვა: „ძლიერ კარგათ, შეუდარებლად ითამაშეს“-მეთქი. თუ მართლა გალანძღვა გნებავთ, ამ მანდილოსნებს მე კი არა, ისინი ლანძღავენ, რომელნიც ამბობენ: „აწი აღარ მოგვეკარებიან და შენ ითამაშე მათ მაგივრადო“.

დასასრულ უნდა მოვახსენო პატივცემულ მანდილოსანთ: თუ ჩემი რეცენზია ზოგ მათგანს გინება ჰგონია, „ივერიის“ რეცენზენტს „სიმართლეს“ მიჰმართონ და მისგან უთუოდ ხოტბას გაიგონებენ. მხოლოდ ბ-ნ „სიმართლეს“ კი უნდა კრილოვის სიტყვები მოვახსენო, რომ „слона-то и не примѣтилъ“. ნუ თუ ქ-ნი ქავთარაძისა არ იყო ხსენების ღირსი?! ეჰ, ჩემო „სიმართლევ“! რა კარგი იქნებოდა, რომ სიმართლეს არ ჰღალატობდეთ!.

დონ-ვალიანი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ოქტომბერი

რენი. აქ მოვიდა ბოლგართა დეპუტაცია, რომელიც კიშინევს მიდის, რომ მინსკის მე-54 პოლკს ბოლგარიის მთავრის სურათი მიუტანოს.

კონსტანტინეპოლი. პორტამ გამოაცხადა, რომ მეწამულ ზღვაში ყაჩაღების თავდასხმის გამო ატეხილი საქმე მოწესრიგდა. გემ „პიემონტ“-ის უფროსის საქციელი თვითნებობით აიხსნება.

პორტამ საჩივარი გამოუცხადა იტალიის საელჩოს იმის გამო, რომ იტალიის გემმა „პიემონტ“-მა სროლა დაუწყო კუნძულ მიდიზე მცხოვრებ ზღვის ყაჩაღებს და მოითხოვა, ოსმალეთის ორი გემი იქიდან წასულიყო. ოსმალეთის საელჩოს რომში პორტამ დაავალა ამ საქმის შესახებ იტალიის მთავრობას მოხსენება წარუდგინოთ.

რიაზანი. ეგორევსკის ერობამ თანაგრძნობით მიიღო იმის პროექტი, რომ ამომრჩეველთა უფლება არ მიეცეს იმათ, ვიზედაც დარჩენილი ხარჯებიაო.

23 ოქტომბერი

მოსკოვი. ნევროპატოლოგ-ფსიხიატრთა საზოგადოებამ დაადგინა პროფესორ კოჟევნიკოვის სახსოვრად დააარსოს ნევროპატოლოგიის ინსტიტუტი.

ადენი. პოლკოვნიკი სვაინი დაიბარეს და გარეშე საქმეთა სამინისტროს მრჩევლის თანამდებობა მიანდვეს. სამალიის ექსპედიციის უფროსად მანკინგი იქმნება.

პარიზი. ვენეცუელის ჯარმა დაამარცხა სან-მატოსთან მეამბოხეთა ლაშქარი; გენერალი მატოსი გაიქცა.

პეკინი. საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ ასრულებს ჩინეთი ხელშეკრულობებს, იმპერატორის რესკრიპტია. ამ რესკრიპტით მეოთხე კლასის მოხელეს პირველ კლასის მანდარინობა ებოძა იმისათვის, რომ საიდუმლოდ შეიტანა ჩინეთში 1000 თოფი და 300,000 ტყვია, თუმცა იმპერატორის დეკრეტით იარაღის შეტანა აღკრძალულია.

ადენი. კრეისერი „პომონა“ ილლიგში წავიდა; უნდა გამოარკვიოს იმ ჯარის გადასხმის პირობანი, რომელიც მოლას წინააღმდეგ მიდის. ამბობენ, მოლა თავს დაესხა სიმაგრეს ბატოგლის მახლობლად და აქლემები წაიყვანაო; მაგრამ ეს ხმა არა მტკიცდება.

ლონდონი. იმ კონფერენციის შესახებ, რომელიც მთავრობასა ჰქონდა ახალშენების წარმომადგენლებთან, ნათქვამია: ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საიმპერატორო ფედერაცია პოლიტიკურის მხრივ შესაძლებელია, მხოლოდ ეს საქმე ახალშენებმა უნდა აღძრანო.

სოფია. გენერალმა ცონჩევმა, რომელიც ოსმალებთან შეტაკების დროს დაიჭრა, მოასწრო საზღვარზე გადასვლა. დუპნიცში გენერალი 22 ოქტომბერს მოვიდა.

კრებაზე დანევმა განაცხადა, რომ მთავრობა მაკედონიაში გადასვლის ნებას არ აძლევს ბრბოებსაო. იგი პირნათლად იქცევა იმ იმედით, რომ მთავრობანი დააფასებენ საქმის ვითარებას და მოითხოვენ ბერლინის ტრაქტატის განხორციელებასაო.

ჯუმაისა და რაზლოგის ოლქებში შეტაკებები კიდევ არის. მებრძოლთა უფროსნი ზლატოკ-რი და პასხალი დაიჭრნენ მათ მოასწრეს საზღვარზე გადასვლა.

კიშინევი. მოვიდა ბოლგარიის დეპუტაცია.

მინსკის რაზმის დღესასწაულმა საგანგებოდ ჩაიარა. სამხედრო საკრებულოში სადილზე სადღეგრძელოები წარმოსთქვეს. დეპეშები მიღებულ იქმნა მთავრის ფერდინანდისა და ტირნოვის რაზმისაგან. მთავარმა ფერდინანდმა უბოძა ჯარის-კაცებს, რომელთაც ჯილდო მიუღიათ, სამ-სამი მანეთი, ხოლო დანარჩენთ—ორ-ორი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

—

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—33)

ქ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩაზე გოგიელოვის შენობაში
ტარიელ დიმიტრის ძე
გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—4)

საჭიროა თავისუფალი
მიწის ნაჭერი

ზომით 2000—2500 ოთხ-კუთხი საჟენი. იმან, ვისაც ჰსურს გაჰყიდოს მიწა, უნდა მიჰმართოს ექიმს სტეფანოვს. ამაღლების ქუჩა, კაპანაკოვის სახლი № 6. (6—5)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოღუმა ბაზანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პეტიტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასისა ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).